585
964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებანი

№ 11 (244) 20 აპრილი 1964 წელი

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

178. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. მიშუტინის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის და სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

179. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. პ. მალიაროვის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ დანიშვნისა და სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრად დამტკიცების შესახებ.

180. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნიგერიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ფ. პ. დოლიას გათავისუფლების შესახებ.

181. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნიგერიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ი. რომანოვის დანიშვნის შესახებ.

182. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის თაობაზე, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

183. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ა. ი. რიაბენკოს სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

184. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ლ. კოპტელოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

185. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ იანოშ კადარისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

186. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ორჯონიკიძე-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობაზე.

187. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის კაპიტან ვ. ვ. ჩერესლოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

188. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის ეფრეიტორ ნ. ი. კაზანცევის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

189. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. მოსკოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

190. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ფომინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

191. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ კ. ტ. მაზუროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

192. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ი. აფანასენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

193. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ლ. ნ. ნოვიჩენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

194. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. გ. მონაშევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

195. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსწავლე ყარდემგალი ბეგისოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

196. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. მ. ბალდასარიანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

197. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ს. გრიგორიანის (ამო საგიანის) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

198. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არმიის გენერალ ვ. ა. პენკოვსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

199. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ვორობიოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა შაქრის თაობაზე დადებული 1958 წლის საერთაშორისო შეთანხმების მოქმედების გაგრძელების ოქმის შესახებ.

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ტანგანიკის რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის თაობაზე დადებული შეთანხმების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ს. ძოწენიძეს რწმუნების სიგელები გადასცა იორდანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯ. ტუტუნჯიმ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ს. ძოწენიძეს რწმუნების სიგელები გადასცა ინდონეზიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. სოფიანმა.

# ნაწილი II

## განყოფილება პირველი

200. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩაქვისა და სამტრედიის რაიონების ცენტრების გადატანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 178 ამხ. ა. ნ. მიშუტინის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის და სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **მიშუტინი** სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის და სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 აპრილი.
№ 2360-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 179 ამხ. მ. პ. მალიაროვის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ დანიშვნისა და სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრად დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მიხეილ პეტრეს ძე **მალიაროვი** სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ და დამტკიცდეს იგი სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 აპრილი.
№ 2361-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 180 ნიგერიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ფ. პ. დოლიას გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს თევდორე პავლეს ძე **დოლია** ნიგერიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 აპრილი.
№ 2363-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 181 ნიგერიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ი. რომანოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ალექსანდრე იოსების ძე **რომანოვი** ნიგერიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 აპრილი.
№ 2364-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 182 იმის თაობაზე, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 1953 წლის 8 აგვისტოს კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ., № 7) 8 და 16 მუხლებში:

კანონის 8 მუხლის „ბ“ პუნქტი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) უკეთუ მეურნეობაში საქონლის სულადობა არ აღემატება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დაწესებულ ნორმებს“;

კანონის 8 მუხლის „გ“ პუნქტი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

„გ) უკეთუ მეურნეობაში მიწის ნაკვეთის ზომა არ აღემატება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დაწესებულ ნორმებს, ხოლო იმ შემთხვე-

ვაში, როცა მოქმედებს სსრ კავშირის კანონმდებლობით დაწესებული ნორმები, — უკეთუ მიწის ნაკვეთის ზომა არ აღემატება ამ ნორმებს“;

კანონის 8 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის მთავრობის მიერ დაწესებულ ნორმებს“ შეიცვალოს სიტყვებით „დაწესებულ ნორმებს“;

კანონის 16 მუხლის მეორე ნაწილი გადმოიცეს შემდეგი რედაქციით:

„აღნიშნული შეღავათები მიეცემათ იმ პირობით:

თუკი კანონის ამ მუხლში ჩამოთვლილი მოქალაქეები ოჯახის უფროსები არიან;

თუკი მეურნეობაში საქონლის სულადობა არ აღემატება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დაწესებულ ნორმებს;

თუკი მეურნეობაში მიწის ნაკვეთის ზომა არ აღემატება ამ კანონის 8 მუხლში აღნიშნულ ნორმებს.“

2. ეს ბრძანებულება ძალაში შევიდეს 1965 წლის 1 იანვრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 აპრილი.
№ 2369-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 183 სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ა. ი. რიაბენკოს სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ალექსანდრე იაკობის ძე რიაბენკო სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 აპრილი.
№ 2382-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 184 მწერალ ა. ლ. კოპტელოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთან დაკავშირებით მწერალი ათანასე ლაზარეს ძე კოპტელოვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 3 აპრილი.
№ 2355-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 185 ამხანაგ იანოშ კადარისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა და უნგრელი ხალხების საერთო მტრის — ხორტისტული რეჟიმისა და ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამხანაგ იანოშ კადარის თვალსაჩინო როლის, მშვიდობისა და სოციალიზმის, საბჭოთა და უნგრელ ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად, უნგრეთის მუშათა სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ იანოშ კადარს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 3 აპრილი.
№ 2356-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 186 იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ორჯონიკიძე-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობაზე

ორჯონიკიძე-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის გაყვანისას მოპოვებული წარმატებებისათვის, გაზსადენისა, რომელიც მთის ურთულეს პირობებში აშენდა, **დაჯილდოვდნენ:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ლენინის ორდენით

1. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **მოზგოვოი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელი.

2. მიხეილ სტეფანეს ძე **ნეკრასოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 8 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის უფროსი.

3. ივანე ალექსის ძე **პრიბპტენი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამართველოს ელექტროშემდუღებელთა ბრიგადირი.

4. სამველ ტიგრანის ძე **სარდარიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 10 სპეციალიზებული სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.

5. გრიგოლ ალექსის ძე **ხარლამოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ მმართველი.

### შრომის წითელი დროშის ორდენით

1. ივანე ნიკოლოზის ძე **აბრამოვი** — ტრესტ „პრომსტროიმატერიალის“ რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის მებეტონე.

2. შალვა ლევანის ძე **გარდაფხაძე**—ტრესტ „საქშახტმშენის“ მმართველი.

3. ვლადიმერ ივანეს ძე **გოროდეცკი** — ინსტიტუტ „გიპროგაზის“ მთავარი ინჟინერი.

4. გრიგოლ თევდორეს ძე **გრიცინინი**—ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ №.8 სამშენებლო სამმართველოს მილჩამწყობი ამწის მემანქანე.

5. ნიკოლოზ გრიგოლის ძე **კოროლკოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელი.

6. ვარლამ ილარიონის ძე **ლომთაძე** — ტრესტ „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველო „ჭიათურშახტმშენის“ გვირაბგამყვანი.

7. ივანე პეტრეს ძე **მირონენკო** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის № 8 სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტის № 4 სამონტაჟო სამმართველოს მონტიორთა ბრიგადირი.

8. არკადი პეტრეს ძე **ოლეშჩუკი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 8 სამშენებლო სამმართველოს მილჩამწყობი ამწის მემანქანე.

9. პეტრე ვასილის ძე **რუდომიოტკინი**—ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 13 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის ბრიგადირი.

10. ანატოლ ივანეს ძე **საფრონოვი** — მაგისტრალური გაზსადენების ამიერკავკასიის სამმართველოს უფროსი.

11. გიორგი ანდრიას ძე **ტატარიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 10 სპეციალიზებული სამმართველოს უბნის უფროსი.

### „საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. ვასილ ნიკოლოზის ძე **ალექსანდროვი** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

2. იური გრიგოლის ძე **აშიხმინი**—ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 12 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს შემონტაჟეთა ბრიგადირი.

3. პროკოფი ნესტორის ძე **ბალდასარი**—ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 12 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

4. გიორგი ნიკოლოზის ძე **ბარძიმოვი** — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

5. სერგი ვლადიმერის ძე **ბელოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მილჩამწყობი ამწის მემანქანე.

6. დიმიტრი პეტრეს ძე **ბორისენკო** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მილჩამწყობი ამწის მემანქანე.

7. ალისტორ პარმენის ძე **გიორგობიანი** — ტრესტ „სოიუზლიფტის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

8. ასან ალექსის ძე **გოლოშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 5 სამშენებლო სამმართველოს ხურო.

9. სერგი ანდრიას ძე **გორშკოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უბნის უფროსი.

10. ვიქტორ ანდრიას ძე **დანილოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

11. ვიტალი ალექსანდრეს ძე **ევდომაშკო** — წყალქვეშა-ტექნიკურ და სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს № 5 საექსპედიციო რაზმის სამყვინთაო სადგურის ზემდეგი.

12. არსენტი სელივერსტის ძე **კირიჩუკი** — ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის“ № 9 სპეციალიზებული სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე.

13. ივანე ბადალის ძე **მალაკელიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 10 სპეციალიზებული სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.

14. სანასარ ელიშეს ძე **მანუკიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 10 სპეციალიზებული სამმართველო, ამფეთქებელი.

15. გრიგოლ მოსეს ძე **მაცკო** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 8 სამშენებლო სამმართველოს ბიტუმსადნობი დანადგარის მემანქანე.

16. პეტრე იოსების ძე **მდივანი** — კავშირგაბმულობის თბილისის საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძის უფროსი.

17. ინდიკო იასონის ძე **მეძველია** — ტრესტ „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველო „ჭიათურშახტმშენის“ გვირაბგამყვანი.

18. ნიკოლოზ ივანეს ძე **ნეჩაევი**—ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 8 სამშენებლო სამმართველოს მილჩამწყობი ამწის მემანქანე.

19. პეტრე ვასილის ძე **პეტროვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უბნის უფროსი.

20. ვალერიან ალექსანდრეს ძე **ფირანიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის პარტკომის მდივანი.

21. ყურბან ჰასანის ძე **რამაზანოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ევგენი იოსების ძე **რუდომინოვი** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის № 8 სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტის № 4 სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

23. ვლადიმერ ივანეს ძე **რიბალჩენკო** — ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის" № 9 სპეციალიზებული სამმართველოს უბნის უფროსი.

24. ვასილ ნიკოლოზის ძე **რიუკოვი** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის „მოსტოტრესტის" № 479 ხიდების სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მემოტორე.

25. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **სოკოლოვი** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

26. ვიქტორ პეტრეს ძე **სუპუკარევი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის" № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

27. ბადრი მიხეილის ძე **ხუციშვილი** — კავშირგაბმულობის თბილისის საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძის ყაზბეგის სახაზო-ტექნიკური უბნის უფროსი.

28. ვიქტორ ეგნატეს ძე **ჩუკილო** — ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის" № 9 სპეციალიზებული სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე.

29. თევდორე ანდრიას ძე **იანკოვსკი** — ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის" № 9 სპეციალიზებული სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.

### მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

1. რაფიკ გარეგინის ძე **აზარიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის" ავტოტრანსპორტის კანტორის № 5 ავტობაზის მძღოლი.

2. ალექსანდრე გრიგოლის ძე **ბაგანიკოვი** — წყალქვეშა-ტექნიკური და სამშენებლო სამუშაოების სამმართველოს № 5 საექსპედიციო რაზმის ტრაქტორული ამწის მემანქანე.

3. სპირიდონ ხორენის ძე **ბალასანიანი** — ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის" № 9 სპეციალიზებული სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

4. ალექსი პეტრეს ძე **ბუგაევი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის" ავტოტრანსპორტის კანტორის № 4 ავტობაზის მძღოლი.

5. პასკევიჩ არაქელის ძე **გალუმიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის" № 10 სამშენებლო სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე.

6. გიორგი იოსების ძე **დესპოტაშვილი** — კავშირგაბმულობის თბილისის № 1 საექსპლოატაციო-ტექნიკური კვანძის მონტიორი.

7. ალექსანდრე მარკოზის ძე **დონაძე** — ინსტიტუტ „გიდროპროექტის" თბილისის განყოფილების გეოლოგიური პარტიის უფროსი.

8. ალექსანდრე სიმონის ძე **ჟდანოვი** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

9. პეტრე ივანეს ძე **ჟუკი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის" № 8 სამშენებლო სამმართველოს მილჩამწყობი ამწის მემანქანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ბენიამინ მიხეილის ძე **კრეპანოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 8 სამშენებლო სამმართველოს მძღოლი.

11. ვიქტორ ვასილის ძე **კუზნეცოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირი.

12. ოპანეს ალექსანდრეს ძე **მათევოსიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 13 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის უფროსი.

13. ნიკოლოზ ივანეს ძე **მელიხოვი** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის № 8 სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტის № 4 სამონტაჟო სამმართველოს მონტიორთა ბრიგადირი.

14. ივანე აქსენტის ძე **ნეტკაჩი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ ავტოტრანსპორტის კანტორის № 4 ავტობაზის მძღოლი.

15. ვარლამ ერეკლეს ძე **ნიშნიანიძე** — ტრესტ „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველო „ჭიათურშახტმშენის“ გვირაბგამყვანი.

16. გიორგი ილიას ძე **ნიშნიანიძე** — ტრესტ „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველო „ჭიათურშახტმშენის“ გვირაბგამყვანი.

17. ალექსი ვასილის ძე **პეტროვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

18. პეტრე ანისიმეს ძე **პეტროვი** — ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის“ № 9 სპეციალიზებული სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.

19. გიორგი ხაჩატურის ძე **პეტროსიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 13 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის ბრიგადირი.

20. გიორგი ივანეს ძე **პოკროვსკი** — ინსტიტუტ „გიპროგაზის“ პროექტის მთავარი ინჟინერი.

21. ივანე ვასილის ძე **პონომარენკო** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 8 სამშენებლო სამმართველოს საიზოლაციო მანქანის მემანქანე.

22. ალბერტ ბახშის ძე **სააკოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 13 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის ბრიგადირი.

23. პარმენ დომენტის ძე **უკლება** — ტრესტ „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველო „ჭიათურშახტმშენის“ გვირაბგამყვანი.

24. ივანე ტიხონის ძე **შაბატაშოვი** — ტრესტ „პრომსტროიმატერიალის“ სამშენებლო მასალებისა და დეტალების ქარხნის მებეტონეთა ბრიგადირი.

25. მიხეილ ივანეს ძე **იასტრუბენსკი** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის № 8 სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტის № 4 სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

### მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. მანუკ ამოიაკის ძე **ასლანიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ ავტოტრანსპორტის კანტორის № 4 ავტობაზის მძღოლი.

2. თევდორე ფილიპეს ძე **ბაბენკო** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 8 სამშენებლო სამმართველოს ბიტუმსადნობი დანადგარის მემანქანე.

3. იური ალექსანდრეს ძე **ვლასოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 10 სპეციალიზებული სამმართველოს უფროსი.

4. ნოდარ რაჟდენის ძე **გიორგაძე** — ტრესტ „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველო „ჭიათურშახტმშენის“ გვირაბგამყვანი.

5. ვასილ ივანეს ძე **დავითელაშვილი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.

6. პავლე თევდორეს ძე **დედოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ოსტატი.

7. ნიკოლოზ გრიგოლის ძე **ზაიდუნი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მთავარი მდნობელი.

8. იუნის მამიშ ოღლი **ზეინალოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 13 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის მექანიკოსი.

9. ისმაილ გეიდარ ოღლი **ისმაილოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 13 სამშენებლო სამმართველოს მილჩამწყობი ამწის მემანქანე.

10. ზურაბ მამიას ძე **ქანთარია** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 10 სპეციალიზებული სამმართველოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ოსტატი.

11. ილია სარდიონის ძე **კვარაცხელია** — ტრესტ „მთავართბილმშენის“ № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

12. იური ეფრემის ძე **კოვალიოვი** — ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის“ № 9 სპეციალიზებული სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.

13. ალექსანდრე ამბროსის ძე **კოვალი** — ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის“ № 9 სპეციალიზებული სამმართველო, ამფეთქებელი.

14. ნიკოლოზ ფილიპეს ძე **ლებედევი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.

15. ოთარ იროდის ძე **ლომთაძე** — ტრესტ „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველო „ჭიათურშახტმშენის“ გვირაბგამყვანი.

16. ახმედ აზიზ ოღლი **მუსტაფაევი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 13 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.

17. შალვა გაბრიელის ძე **მწითური** — საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

18. ივანე ვასილის ძე **ნოვიკოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 10 სპეციალიზებული სამმართველოს ელექტროშემდუღებელი.

19. ბორის პეტრეს ძე **პეტრენკო** — ინსტიტუტ „გიდროპროექტის“ თბილისის განყოფილების სექტორის მთავარი გეოდეზისტი.

20. სიმონ ალექსის ძე **პონომარიოვი** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის № 8 სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტის № 4 სამონტაჟო სამმართველოს ავტობაზის მძღოლი.

21. რაბადან ქადის ძე **რაბადანოვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მილჩამწყობი ამწის მემანქანე.

22. ლავრენტი რომანის ძე **რაზმაძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 5 სამშენებლო სამმართველოს ავტოამწის მემანქანე.

23. ელია რახმილის ძე **რეზნიკი** — ინსტიტუტ „გიპროგაზის“ ჯგუფის ხელმძღვანელი.

24. ანატოლ ალექსანდრეს ძე **რეშეტნიაკი** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის № 8 სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტის № 4 სამონტაჟო სამმართველოს მონტიორთა ბრიგადირი.

25. ივანე პროკოფის ძე **რიბკინი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომპრესორის მემანქანე.

26. ალექსანდრა ნიკიფორეს ასული **რიტუია** — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.

27. ქორა ოვსეფის ძე **სარქისიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 10 სპეციალიზებული სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

28. არამ აშოტის ძე **თავაქელიანი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ № 10 სპეციალიზებული სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე.

29. სერგი ვაზგენის ძე **ხაჩატუროვი** — ტრესტ „იუჟგაზპროვოდსტროის“ ავტოტრანსპორტის კანტორის № 5 ავტობაზის მძღოლი.

30. ივანე ივანეს ძე **ჩეპიგა** — ტრესტ „უკრგაზნეფტესტროის“ № 9 სპეციალიზებული სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 აპრილი.
№ 2357-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 187 საბჭოთა არმიის კაპიტან ვ. ვ. ჩერესლოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

მეომრის მოვალეობის აღსრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის კაპიტანი ვლადიმერ ვასილის ძე **ჩერესლო** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 აპრილი.
№ 2358-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 188 საბჭოთა არმიის ეფრეიტორ ნ. ი. კაზანცევის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებული ბავშვის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის ეფრეიტორი ნიკოლოზ ივანეს ძე კაზანცევი დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 4 აპრილი.
№ 2359-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 189 ამხ. ვ. პ. მოსკოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. ვასილ პეტრეს ძე მოსკოვსკი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 აპრილი.
№ 2366-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 190 ამხ. გ. ი. ფომინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით სომალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. გენადი ივანეს ძე ფომინი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 აპრილი.
№ 2367-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 191 ამხანაგ კ. ტ. მაზუროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ამხანაგი კირილე ტროფიმეს ძე მაზუროვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 6 აპრილი.

№ 2368-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 192 ამხ. ე. ი. აფანასენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკის განათლების მინისტრი ამხ. ევგენი ივანეს ძე აფანასენკო დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 აპრილი.

№ 2379-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 193 მწერალ ლ. ნ. ნოვიჩენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით მწერალი ლეონიდ ნიკოლოზის ძე ნოვიჩენკო დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 აპრილი.

№ 2380-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 194 ამხ. ლ. გ. მონაშევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ კურსკის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ლეონიდე გაბრიელის ძე **მონაშევი** დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 აპრილი.

№ 2387-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 195 მოსწავლე ჟარდემგალი ბეგისოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ადამიანთა გადარჩენისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირულებისათვის აქტიუბინსკის ოლქის ტემირის რაიონის ყარაყარის სკოლის მოსწავლე ჟარდემგალი **ბეგისოვი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 აპრილი.

№ 2388-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 196 ამხ. ო. მ. ბალდასარიანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ოჰანეს მნაცაკანის ძე **ბალდასარიანი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 11 აპრილი.

№ 2389-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 197 მწერალ ა. ს. გრიგორიანის (ამო საგიანის) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ამაიაკ სააკის ძე გრიგორიანი (ამო საგიანი) დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 აპრილი.
№ 2393-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 198 არმიის გენერალ ვ. ა. პენკოვსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით არმიის გენერალი ვალენტინ ანტონის ძე პენკოვსკი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 აპრილი.
№ 2395-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 199 ამხ. გ. ი. ვორობიოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ კრასნოდარის სასოფლო სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გიორგი ივანეს ძე ვორობიოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 აპრილი.
№ 2396-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

### შაქრის თაობაზე დადებული 1958 წლის საერთაშორისო შეთანხმების მოქმედების გაგრძელების ოქმის შესახებ

1963 წლის 1 აგვისტოს შაქრის საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1963 წლის კონფერენციის დასკვნითი რეზოლუციის შესაბამისად ლონდონში ხელი მოაწერეს მრავალმხრივ ოქმს შაქრის თაობაზე დადებული 1958 წლის საერთაშორისო შეთანხმების მოქმედების გაგრძელების შესახებ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ოქმს ხელი მოაწერა ლონდონში 1963 წლის 25 სექტემბერს.

ოქმი რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1963 წლის 14 დეკემბერს შენიშვნებით.

სარატიფიკაციო სიგელი შესანახად გადაეცა დიდი ბრიტანეთის მთავრობას 1964 წლის 10 იანვარს.

ოქმის ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" (№ 15, 1964 წლის 8 აპრილი).

* * *

### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ტანგანიკის რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის თაობაზე დადებული შეთანხმების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ტანგანიკის რესპუბლიკის მთავრობამ, რომლებიც ესწრაფვიან ორივე ქვეყანას შორის კულტურული კავშირურთიერთობის გაფართოებას სსრ კავშირის ხალხებსა და ტანგანიკის რესპუბლიკის ხალხებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობისა და ურთიერთგაგების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ინტერესების გულისათვის, 1963 წლის 6 ნოემბერს დარ-ეს-სალამში დადეს შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმება რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1964 წლის 11 თებერვალს; ტანგანიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1963 წლის 24 დეკემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა დარ-ეს-სალამში 1964 წლის 18 მარტს.

შეთანხმება ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" (№ 15, 1964 წლის 8 აპრილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ს. ძოწენიძეს რწმუნების სიგელები გადასცა იორდანიის სამეფოს სახელმწიფო სამეფო

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ს. ძოწენიძეს რწმუნების სიგელები გადასცა იორდანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯ. ტუტუნჯიმ

6 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ს. ძოწენიძემ კრემლში მიიღო იორდანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დოქტორი ჯამილ ტუტუნჯი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი დოქტორი ნეჯიბ ჯიხა და საელჩოს მეორე მდივანი ფაიზ აბდელნაბი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები თ. თ. მოლოჩკოვი და ა. დ. შჩიბორინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, გ. ს. ძოწენიძესა და დოქტორ ჯ. ტუტუნჯის შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ს. გ. ლაპინმა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს გ. ს. ძოწენიძეს რწმუნების სიგელები გადასცა ინდონეზიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. სოფიანმა

8 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ს. ძოწენიძემ კრემლში მიიღო ინდონეზიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მანაია სოფიანი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ მრჩეველი ი. ხამზა, სავაჭრო მრჩეველი ტან სოან ლენგი, სამხედრო ატაშე ბრიგადის გენერალი ნ. სოხარი, სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი სურიონო, სამხედრო-საზღვაო ატაშე პოდპოლკოვნიკი ქ. ბაგჯა და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ს. პ. დიუკარევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, გ. ს. ძოწენიძესა და მ. სოფიანს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. პ. გიორგაძემ და ს. გ. ლაპინმა.

## ნაწილი II

## განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 200 ჩაქვისა და სამტრედიის რაიონების ცენტრების გადატანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება რაიონული ცენტრის დაბა ჩაქვიდან ქალაქ ქობულეთში გადატანისა და ჩაქვის რაიონის ქობულეთის რაიონად გადარქმევის შესახებ.

2. გადატანილ იქნეს რაიონული ცენტრი ქალაქ სამტრედიიდან ქალაქ წულუკიძეში და შემდგომში რაიონს ეწოდოს წულუკიძის რაიონი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.**

თბილისი. 1964 წლის 7 აპრილი.

## გასწორება

საინფორმაციო ცნობაში იმ შეთანხმების შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა ეკონომიური და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს მალის რესპუბლიკას სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს „ოფის დიუ ნიჟერის" განვითარებაში, რომელიც გამოქვეყნდა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" (№ 9, 1964 წლის 31 მარტი), ნაცვლად სიტყვებისა „ეკონომიური და ტექნიკური თანამეგობრობა" უნდა იკითხებოდეს „ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა".